



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 63

„05“ ივნისი 2015 წელი

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და სხვა ქონებაზე გარე რეკლამის ობიექტების ნუსხისა და გარე რეკლამის ნებართვის გასაცემად განკარგვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და სხვა ქონებაზე გარე რეკლამის ობიექტების ნუსხისა და გარე რეკლამის ნებართვის გასაცემად განკარგვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №14 განკარგულებაში და თელავის მუნიციპალიტეტის გარე რეკლამის ობიექტების ნუსხას და მისი განკარგვის გეგმას დაემატოს 1 ლოტი: კოორდინატი X 537652.652, Y 4641662.082, მისამართი: სოფ. ვარდისუბნის წრის სამხრეთით, ზომა: 6 X 3 X 2, ლოტის წლიური საწყისი ფასი 1 კვადრატულ მეტრზე განისაზღვროს 50 ლარით, უპირობო აუქციონი, გარე რეკლამის ნებართვა გაიცეს 3 წლის ვადით, ბილეთის ფასი 20 ლარი;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე  პაატა გიორგობიანი